საჯარო-კერძო პარტნიორობის პოტენციური სარგებლობები და რისკები ხელისუფლების, ბიზნესისა და მთლიანად საზოგადოებისათვის

ნინო ვანიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, სტუ-ს მოწვეული უფროსი მასწავლებელი

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური გლობალიზაციის ფარგლებში ძლიერდება სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთობათა აქტივიზაციის ტენდენცია სახელმწიფო საკუთრებაში კერძო კაპიტალის შეღწევის მიმართულებით. იმავდროულად იცვლება სახელმწიფოს ფუნქციები და ქვეყნის შიგნით ეკონომიკის ცალკეული სფეროების განსახელმწიფოებრივებასთან დაკავშირებული ამოცანები. ამასთან დაკავშირებით საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების განუყოფელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ბიზნესის კონსტრუქციული ურთიერთქმედება.

ამ ურთიერთქმედების ხასიათი, მეთოდები და კონკრეტული ფორმები შესაძლოა არსებითად განსხვავდებოდეს საბაზრო ურთიერთობათა სიმწიფისა და ეროვნული თავისებურებებისაგან დამოკიდებულებით. ამასთან სახელმწიფო არასოდეს არაა თავისუფალი საერთოეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებული თავისი სოციალურად საპასუხისმგებლო ფუნქციების შესრულებისაგან, ბიზნესი კი, თავის მხრივ, ყოველთვის რჩება საზოგადოებრივი სიმდიდრის განვითარებისა და მატების წყაროდ. უკანასკნელ ათწლეულებში რიგი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში აქტიურად ვითარდება სახელმწიფოს და ბიზნესის ურთიერთქმედების სრულიად განსაკუთრებული ხარისხი, რომელიც იწოდება საჯარო-კერძო პარტნიორობად (სკპ).

საჯარო-კერძო პარტნიორობისადმი, მისი სხვადასხვა სქემებისა და მექანიზმებისადმი დიდი ინტერესი ამჟამად განპირობებულია იმით, რომ საჯარო ხელისუფლების ასეთ თანამშრომლობას კერძო სექტორთან სხვადასხვა სფეროებში შეიძლება ჰქონდეს რიგი უპირატესობები და მიმზიდველი შესაძლებლობები თანამშრომლობის სხვა, ალტერნატიულ ფორმებთან შედარებით.

თეორიული გაგებით, სკპ მიმზიდველია ყველასთვის - საჯარო ხელისუფლების, ბიზნესისა და მთლიანად საზოგადოებისათვის. სკპ-ით საჯარო ხელისუფლების დაინტერესება დაკავშირებულია იმასთან, რომ: ჯერ ერთი, ის ბიზნესს გადააკისრებს თავისი ქონების შენახვისა და ინვესტირების ხარჯების ტვირთს იმ ვარაუდით, რომ ამ გზით შეძლებს მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას; მეორე მხრივ, სკპ-ის დახმარებით, საჯარო ხელისუფლება უარს ამბობს მეურნეობის გაძღოლის არაეფექტიან ფორმებზე, თავისუფლდება რიგი ეკონომიკური ფუნქციებისაგან (მშენებლობა, ექსპლუატაცია, რემონტი და სხვ.), რომლებსაც კერძო კომპანიები უფრო ხარისხიანად ასრულებენ; მესამე, სკპ-ისადმი მიმართვით საჯარო ხელისუფლება ნაწილობრივ არბილებს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სიმწვავეს.

ბიზნესის ინტერესი სკპ-ის პროექტებში, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ კერძო კომპანია გრძელვადიან მფლობელობაში იღებს საჯარო ხელისუფლების აქტივებს, ხშირად - შეღავათიანი პირობებით. საჯარო ხელისუფლებასთან გრძელვადიანი კონტრაქტის ფარგლებში ის განაგებს თავისი პროდუქციის გასაღების გარანტირებულ ბაზარს. შემდგომში,

ინვესტიციების განხორციელებისას კერძო კომპანიას აქვს მათი დაბრუნების მაღალი გარანტიები, რამდენადაც საჯარო ხელისუფლება, როგორც მისი პარტნიორი იყოფს რენტაბელობის მინიმალური დონის შენარჩუნების რისკს. ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის სფეროში საჯარო ხელისუფლება მიდის იმაზე, რომ კერძო ოპერატორებს ბიუჯეტიდან გამოუყოფს დამატებით სახსრებს კომუნალური მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. და ბოლოს, კერძო კომპანიებს, ფლობენ რა სამეურნეო თავისუფლებას, შეუძლიათ აამაღლონ თავისი ბიზნესის შემოსავლიანობა ცოდნის, გამოცდილების, სიახლეების, ინვესტიციების ხარჯზე, სამეწარმეო საქმიანობის რისკების მინიმუმამდე დაყვანით.

რა სარგებლობას იძლევა საჯარო ხელისუფლებისა და კერძო სექტორის პარტნიორობა მთლიანად საზოგადოებისათვის? როგორც წესი, შესაძლებელია ველოდოთ მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მათზე ფასების შემცირებას. ხშირად, ასეთი პარტნიორობის დახმარებით, შესაძლებელი ხდება ზოგიერთი სოციალური პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრა. საზოგადოებისათვის ეკონომიკური ეფექტი მდგომარეობს ასევე ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირებისა და აღჭურვის ვადების შემცირებაში, მშენებლობის უფრო მაღალ ეფექტიანობაში.

ყოველივე ეს არის პარტნიორობის მხოლოდ პოტენციურად შესაძლებელი სარგებლობები. მათი რეალობად ქცევისათვის აუცილებელია შესაფერისი ინსტიტუციური გარემოს შექმნა. პირველ რიგში, ლაპარაკია ძლიერ სამართლებრივ სახელმწიფოზე, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საჯარო საკუთრების ობიექტებზე არსებული კერძო კომპანიების საქმიანობის რეგულირება, მართვა და სათანადო კონტროლი. როგორც წესი, კერძო სექტორის მხრიდან საჯარო ხელისუფლებასთან კონტრაქტების დადებაზე პრეტენდენტების უკმარისობა არ არის. პრობლემები იწყება მას შემდეგ, როცა ბიზნესის მთავარი მოტივაცია - მოგების მიღება - კონფლიქტში მოდის საჯარო ხელისუფლების ძირითად ფუნქციასთან - საზოგადოების ინტერესების დაცვასთან.

ამრიგად, მსხვილი სკპ საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია ყოველთვის დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკებთან. თეორიულად, სკპ მოწოდებულია შეამციროს რისკები როგორც საჯარო ხელისუფლებისათვის, ასევე კერძო სექტორისთვისაც და გაადიდოს მსხვილი პროექტების წარმატების შანსები, მაგრამ პრაქტიკაში საჯარო ხელისუფლებისა და ბიზნესის პარტნიორობა ყოველთვის ასეთი „ულრუბლო" არაა.

უფრო კონკრეტულად, სკპ-ის პროექტების რეალიზების მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, სკპ-ის ძირითად სარგებლობებს (სისტემურ უპირატესობებს) მიეკუთვნება:

<u>საჯარო ხელისუფლებისათვის:</u>

- ახალი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი პროექტების დანერგვის დაჩქარება, დამატებითი რესურსების მოზიდვის ხარჯზე;
- საჯარო ხელისუფლების ბიუჯეტური დატვირთვის შემცირება (ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე - პროექტების სპეციფიკისაგან დამოკიდებულებით;
- დიდი და კომპლექსური პროგრამების მართვის საიმედო სქემებისა და მექანიზმების გამოყენება;
- უცხოელ ინვესტორთა მოზიდვის შესაძლებლობა;
- კერძო საწარმოების მიერ შემუშავებული ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება;
- კერძო ბიზნესის მაღალკვალიფიციური ექსპერტების მოზიდვის შესაძლებლობა;
- საჯარო ქონების მართვის ეფექტიანობის ამაღლება და სახელმწიფო ხარჯების შემცირება;
- ეკონომიკის საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სექტორებში (მათ შორის, ინოვაციების სფეროში) სამეწარმეო ინიციატივის წახალისება;
- პროექტების მართვისას საჯარო ხელისუფლების მხრიდან მმართველობითი პერსონალის რიცხოვნობის ოპტიმიზირება;
- ტექნოლოგიური და ფინანსური პოტენციალის ამაღლება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, როგორც სანედლეულეო ეკონომიკიდან ცოდნის ახალ ეკონომიკაზე გადასვლის პირობა;
- კორუფციის შემცირება;
- პროექტების რეალიზაციის მოქნილი მოდელების შექმნა და გამოყენება.

<u>ბიზნესისათვის:</u>

- ეკონომიკის ადრე მათთვის დახურული სფეროებისადმი (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობა და ა.შ.) წვდომის მიღების შესაძლებლობა;
- მოგების მიღების შესაძლებლობა საჯარო ხელისუფლებასთან პარტნიორულ პროექტებში მონაწილეობიდან;
- პირდაპირი მხარდაჭერა საჯარო ხელისუფლების მხრიდან, მათ შორის დაფინანსების დამატებითი წყაროებისადმი წვდომა;
- გარანტირებული მონოპოლიის უზრუნველყოფა საჯარო ხელისუფლების მიერ გამოყოფილი რესურსის გამოყენებაზე, მხოლოდ პროექტში მონაწილე კერძო საწარმოებისათვის;

- რისკების შემცირება საჯარო ხელისუფლების გარანტიით, ინვესტიციების გრძელვადიანი განთავსების ხარჯზე;
- არაეკონომიკური სარგებლის მიღება, საჯარო ხელისუფლების ორგანოებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ხარჯზე;
- ახალი შესაძლებლობების შექმნა ინოვაციური ბიზნესისათვის;
- საგადასახადო შეღავათებისა და გარანტიების მიღება (კვაზი ფული);
- დამატებითი დაფინანსების ან შეღავათიანი კრედიტის მიღება სახელმწიფო თუ სახელმწიფო-კომერციული ორგანიზაციებიდან ფინანსური კრიზისის პირობებში [1, გვ. 30-31].

სკპ-ის ყველა ზემოაღნიშნული სარგებლობები (სისტემური უპირატესობები) შეიძლება შემდეგ სამ ჯგუფად დაიყოს: საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური.

საფინანსო-საბიუჯეტო სარგებლობა, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს ბიუჯეტური დატვირთვის შემსუბუქებაში. პარტნიორობის ფორმების გამოყენებისას, რომლებიც გულისხმობენ კერძო კომპანიების მიერ ინვესტიციების განხორციელებას ინფრასტრუქტურის ობიექტებში, ბუნებრივი რესურსების დამუშავებაში, საგანმანათლებლო პროექტებში და ა.შ., საბიუჯეტო სახსრები მიიმართება მხოლოდ მცირეშემოსავლიან მოქალაქეთა სუბსიდირებაზე. გარდა ამისა, კერძო კომპანიებს უპირატესობა აქვთ ინვესტიციების მოზიდვაში, ამიტომ პროექტების დაფინანსება ხდება უფრო ეფექტიანი.

სოციალურ-ეკონომიკური სარგებლობა, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია სპეციალიზაციის აღმოცენებასთან: კერძო ბიზნესი რეალიზებას უკეთებს უპირატესობას საწარმოთა მართვაში, ხელისუფლების ორგანოები კი აკონტროლებენ განსახორციელებელ სამუშაოთა და მისაწოდებელ მომსახურებათა ხარისხს. ამასთან მაღლდება პროექტების რეალიზაციის სისწრაფე, რაც ხელს უწყობს მაკროეკონომიკურ განვითარებას, ტერიტორიების საინვესტიციო რეიტინგის ამაღლებას, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე გასვლას [2, გვ. 65-66].

კერძო ბიზნესის ჩართვა საჯარო რესურსების მართვაში იძლევა ამ სფეროში მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების (მმართველების, ფინანსისტების, ინჟინრების) მოზიდვისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობას. ტექნოლოგიების მოდერნიზაცია და მართვის თანამედროვე გამოცდილების გადაცემა კეთილსასურველად აისახება სკპ-ის პროექტებში მონაწილე საწარმოებზე, ხელს უწყობს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

პოლიტიკური სარგებლობა, უწინარეს ყოვლისა, განისაზღვრება კერძო სექტორისათვის რიგი უფლებამოსილებების გადაცემის პროცესის შექცევადობით. საწარმოს არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში მომსახურების მიწოდების პასუხისმგებლობა შესაძლოა კვლავ თავის თავზე აიღოს საჯარო ხელისუფლებამ (სახელმწიფომ/მუნიციპალიტეტმა). ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოები თავის თავზე იღებენ მთავარ როლს ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში და მომხმარებელთა მომსახურებაში.

სკპ-ის პოტენციური სარგებლობები (სისტემური უპირატესობები), სერვისულ-ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით, უპირისპირდება სკპ-ის გამოვლენილ ყველაზე არსებით ***რისკებს*** *(სისტემურ ნაკლოვანებებს),* რომელთა შორის გამართლებულად მიგვაჩნია შემდეგის შეტანა:

- კონფლიქტი სკპ-ის ფარგლებში პროექტის კერძო-ფინანსურ და სოციალურ მიზნებს, კერძო და საჯარო ინტერესებს შორის;
- სკპ-ის კონტრაქტებიდან სახელმწიფოსათვის სარგებლობის ზუსტად და სარწმუნოდ განსაზღვრის „სადაოობა" და სირთულე;
- სკპ-ის პროექტების გაცხადებული ეფექტიანობისა და შედეგიანობის დაზუსტების (სარწმუნოობის დადასტურების) სირთულე;
- კონკურსების ჩატარებისა და სკპ-ის კონტრაქტების შეთანხმების არსებითად უფრო დიდი ღირებულება, სირთულე და დაბალი ეფექტიანობა, ვიდრე ეს განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებისათვის;
- სკპ-ის კონტრაქტების სუსტი „მოქნილობა";
- პარტნიორთა კეთილსინდისიერი ქცევისა და ურთიერთობის საიმედო გარანტიების მოპოვების სირთულე;
- სკპ-ის პროექტებთან დაკავშირებული რისკების პროგნოზირებაში სიზუსტის მიღწევის შეუძლებლობა;
- სკპ-ის შეთანხმებებში მონაწილეთა შორის რისკების ოპტიმალური განაწილების რეალიზაციის სირთულე;
- სკპ-ის კონტრაქტების ბოროტად გამოყენება, საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ თავიანთი საჯარო ფუნქციების შესრულების საზიანოდ და, როგორც შედეგი, - საჯარო ხელისუფლების მაკონტროლებელი და ზოგიერთი სხვა უფლებამოსილების შევიწროება;
- საჯარო და კერძო პარტნიორთა შესაძლებლობების კომპეტენტური ასიმეტრიულობა [3, გვ. 457-459].

მართლაც, პრაქტიკულად, სკპ-ის პროექტების გამოყენებას, სარგებლობასთან ერთად, გარკვეული რისკებიც მოაქვს როგორც ბიზნესის, ასევე საჯარო ხელისუფლებისათვის.

ჯერ განვიხილოთ *ესა თუ ის რისკი და საფრთხე ბიზნესისათვის.* სკპ-ის პროექტების ეფექტიანობის ერთ-ერთი საკვანძო პირობაა შეთანხმების მონაწილეთა შორის სისტემის მართვისა და მისი მუშაობის უნარიანობის უზრუნველყოფის, მომხმარებლების მიერ მიღებული მომსახურების ანაზღაურებისა და ინვესტირების რისკების ოპტიმალური განაწილება.

სკპ-ის განვითარების საკმაოდ ძლიერ დაბრკოლებას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული კორუფციის მაღალი დონე და საჯარო ხელისუფლების ორგანოთა გადამეტებული ბიუროკრატიზაცია. საჯარო ხელისუფლების ორგანოების მუშაობასთან დაკავშირებული რისკები ეხება სახელისუფლებო ქმედებებს, რომლებიც აისახება კერძო სექტორის საქმიანობაზე ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციისას. მათ შეიძლება მოიცვან ის ზომები, რომლებიც აჩერებენ ან წყვეტენ კონტრაქტს, იწვევენ ჯარიმების დაკისრებას ან შემოსავლების შემამცირებელი ინსტრუქციების მოქმედებაში შეყვანას. ქვეყანაში კორუფციის მაღალი დონის სახით არსებული დაბრკოლება ადიდებს პროექტის მომზადებასა და შეთანხმებაზე საჭირო ხარჯებს, შემოიტანს დამატებით, ზოგჯერ პროგნოზირებას დაუქვემდებარებელ რისკებს, რაც კიდევ უფრო ზრდის პროექტის ღირებულებას და, როგორც შედეგი, - მისი რენტაბელურობის შემცირებას და/ან გამოსყიდვის ვადის გადიდებას. *ამრიგად, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საჯარო ხელისუფლების მიერ ისეთი კანონებისა და ნორმატიული აქტების მიღება, რომლებიც აწესებენ სამთავრობო კომპენსაციებს ინვესტორებისა და კერძო პარტნიორებისათვის ასეთი რისკების* დადგომისას.

სკპ-ის პროექტების მომზადებისა და რეალიზებისას ასევე აუცილებელია პროექტისადმი მოსახლეობისა თუ საზოგადობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების განწყობის გათვალისწინება. ამ სფეროში არსებითი რისკები წარმოიშობა გარე სამყაროზე პროექტის ნეგატიური ზემოქმედების, ტექნიკური უსაფრთხოების არასათანადო დონის, მოსახლეობის მიერ (რელიგიური, მორალური, ისტორიულ-არქიტექტურული თუ სხვა მოტივით) პროექტის უარყოფის შემთხვევაში. *ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია მსგავსი რისკები თანაბრად განაწილდეს საჯარო ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის. მათი დონის შესამცირებლად აუცილებელია აქტიური მუშაობა მოსახლეობასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პროექტის მათთვის საჭირო ყველა ასპექტის ინფორმირებისა და შეთანხმების მიხედვით.*

სკპ-ის პროექტების წარმატებული რეალიზაციისათვის დაბრკოლებად შეიძლება იქცეს შემდეგი ფაქტორები: დანახარჯებისა და ეკონომიკური სარგებლის გაანგარიშებასთან დაკავშირებული სახელმწიფოს მოთხოვნები; აღრიცხვისა და დაბეგვრის რთული სქემები; პროექტში „შესვლისა" და „გამოსვლის" სცენარები, რომლებიც სახელმწიფოს აძლევენ გადაწყვეტილების თვითნებურად მიღების შესაძლებლობას. პროექტის რეალიზებადობის ანალიზისა და სიმულაციური მოდელირების ფარგლებში ჩვეულებრივ მუშავდება მომავალი ფულადი ნაკადების სცენარები. მხოლოდ ასე შეიძლება შეფასდეს საკითხი იმის თაობაზე, ფლობს თუ არა პროექტი საინვესტიციო დანახარჯების დაფარვის საკმარის პოტენციალს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისას მისი რეალიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ასევე არსებობს მთელი რიგი <u>რისკი და საფრთხე ხელისუფლებისათვის</u> სკპ-ის შექმნასთან დაკავშირებით.

ჯერ ერთი, მარეგულირებელი ორგანოების სუსტმა კონტროლმა შესაძლოა გამოიწვიოს და ხშირად უკვე იწვევს მონოპოლიური რენტის ამოღებას კომპანია-ოპერატორების მიერ. უფრო ეფექტიანი კონტროლისათვის აუცილებელია კერძო კომპანიების საფინანსო საქმიანობის სათანადო გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მათ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე მონიტორინგის სისტემის აგება.

მეორე, თუ კერძო ბიზნესის ან საჯარო ხელისუფლების ორგანოების მიერ შემოთავაზებული საინვესტიციო პროგრამებით გათვალისწინებული დაბანდებების გამოსყიდვის უზრუნველყოფისათვის საჭიროა ტარიფების მკვეთრი გადიდება, ამან შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის ცალკეული ფენებისათვის შესაბამისი მომსახურების ფინანსური მიუწვდომლობა.

მესამე, კომუნალური ინფრასტრუქტურის მმართველი კომერციული კომპანია-ოპერატორის შესაძლო გაკოტრებას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი სოციალური შედეგები მისი საქონლისა და მომსახურების მუდმივი მომხმარებლებისათვის და დაარღვიოს მოსახლეობის ნდობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისადმი, რომლებიც იღებენ კერძო კომპანიის მოზიდვის გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკპ-ის პროექტების განვითარების ტემპებზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყანა-

ში არსებული საერთო ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია. ამიტომ სკპ-ს განვითარების არსებით შემხვედრ ნაბიჯს წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოებსა და ბიზნესს შორის ურთიერთქმედების გამჭვირვალობის გაუმჯობესება და ნდობის დონის ამაღლება.

სკპ-ის არსებითი უპირატესობებისა და ნაკლოვანებების ჩვენ მიერ ჩატარებული სისტემური ანალიზი იძლევა აუცილებელ და საკმარის საფუძველს **დასკვნისათვის იმის თაობაზე,** რომ სკპ-ის ინსტიტუტი ფლობს გარკვეულ გაორებას - ერთდროულად არსებით უპირატესობებად და არსებით ნაკლოვანებებად გამოსული ერთი და იმავე თვისებების არსებობას, რომლებიც განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ სკპ-ის ინტეგრალურ მახასიათებლებსა და შედეგებზე სხვადასხვა კონკრეტული პირობებისაგან დამოკიდებულებით. მთლიანად კი, ჩატარებული კვლევის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ სკპ-ის საშუალოშეწონილი სოციალურ-ეკონომიკური შედეგიანობა, საჯარო ინტერესების დაცვის ეფექტიანი გარანტიების მოქმედების პირობებში სხვადასხვა ქვეყნების მრავალწლიანი პრაქტიკით დამტკიცებული უპირატესობების ჩათვლით, საკმარისად შეესაბამება საჯარო ინტერესების უზრუნველყოფის მიზნებს და გადაწონის სკპ-ისთვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Государственно-частное партнерство в инновационной сфере: мировой опыт и перспективы России [Текст] / Р. М. Нижегородцев [и др.]; под ред. Р. М. Нижегородцева,С. М. Никитенко,Е. В. Гоосен. – Кемерово: ООО „Сибирская издательская группппа”, 2012.

2.Локальные монополии и реформирование ЖКХ: перспективы применения механизма концессий / авторский коллектив: Н.Г. Заморенова,П.В. Крючкова,Е.Н. Кудряшова,СБ. Сиваев: Бюро экономического анализа. - М.: ТЕИС, 2005.

3.Сазонов В.Е. Государственно-частное партнерство: гражданско-правовые,административно-правовые и финансово-правовые аспекты. - М., 2012.

4. European ĐĐĐ Report 2007 [ელექტრონული რესურსი]. - URL: http://www. dlapiper.com/uk/publications/detail.aspx?pub=2492, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 26.06.2014.

5. Istrate E., Puentes R. Moving Forward on Public Private Partnerships: U.S. and International Experience with PPP Units // Project on state and metropolitan innovation / Brookings-Rockefeller. – 2011, December. - 28 p.

6. Шахов А.В. Методологические основы управления проектами Государственно-частного партнерства [ელექტრონული რესურსი]. - URL: http://nbuv. gov.ua/ Portal/Natural/Vonmu/2009 - 28/ files/onmu2817.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 26.06.2014.

7. Семенова Е.А. Партнерство государства и бизнеса в интересах инновационного развития в странах ОЭСР //Аналитические обзоры РИСИ № 4(17). - Москва, 2007.

8. User Guidebook on Implementing Public-Private Partnerships for Transportation Infrastructure Projects in the United States. Federal Highway Administration (FHWA). Washington. 2007.

9. Матвеев Д.Б. Государственно-частное партнерство: зарубежный и российский опыт. - СПб.: Наука, 2007.

10. Рожкова С. Анализ мирового опыта использования государственно-частного партнерства в различных отраслях экономики // Рынок ценных бумаг. 2008. № 1. - С. 48-56.

11. Noel Michel. Mobilizing private finance for local infrastructure in Europe and Central Asia: an alternative publicprivate partnership framework. - World Bank, 2005.

12. Helping to eliminate poverty and achieve sustainable development through public-private partnerships in infrastructure. Annual report 2006. PPIAF/ The World Bank. 2007.

13. Исследование Европейского Инвестиционного Банка, опубликованное на сайте: http:// www.tudresden. de/wwbwleeg/publications/wp - psm - 08 - brenkc - beckers - heinrich - hirschhausen - 2005 - ppp - eastern – europe. pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 26.06.2014.

14. Практический анализ современных механизмов ГЧП в зарубежных странах, или как реализовать ГЧП в России. [ელექტრონული რესურსი]. - http:// www.apep.ru/ru/uploadfiles/PPP.pdf, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 26.06.2014.

THE POTENTIAL BENEFITS AND RISKS OF PUBLIC - PRIVATE ARTNERSHIP FROM GOVERNMENT, BUSINESS AND SOCIETY

NINO VANISHVILI - Doctor of Business Administration,
Visiting Senior lecturer at the GTU

In the article, the latest literary sources, tanmimdevruladaa studied public - private partnership potential benefits and risks of government, business and society as a whole.

Public - private partnerships essential advantages and drawbacks of systematic analysis on the ground that public - private partnerships Institute holds a certain duality - both substantial benefits and significant disadvantages by putting the same properties exist in determining the impact on the public - private partnerships integral characteristics and the results of a variety of specific conditions attitude.

Whole, the study established that a public - private partnership average socio - economic results of public interests of effective protection guarantees of the conditions of the different countries for many years the practice approved of benefits, including a sufficiently consistent with the public interest in order and outweigh the public - private partnership inherent imperfections.